ლალი გურგენაშვილი

ჯოისისეული ირლანდია კლერ კიგანის რომანში "ასეთი წვრილმანები"

ირლანდიურ ლიტერატურას გამორჩეული ადგილი უკავია მსოფლიო ლიტერატურულ ციკლში ისეთი ავტორების დამსახურებით, როგორებიც არიან სამუელ ბეკეტი, უილიამ ბატლერ იეიტსი და, რათქმაუნდა, ჯეიმს ჯოისი. ლიტერატურათმცოდნეებისთვის ირლანდიის, როგორც ქვეყნის ავკარგიანობაზე წარმოდგენას სწორედ ჯოისის ტექსტები ქმნის. გასული საუკუნის ბოლოს და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ირლანდიაში მომრავლდა ლიტერატურა ტრავმირებულ ბავშვებზე, რომლებსაც პათოლოგიებით აღსავსე ახალგაზრდობა ელით წინ(ფოგარტი 2015: 13). "დუბლინელების" პირველი სამი მოთხრობა ბავშვობის ციკლიდან მათ წინაპარ ტექსტებად შეგვიძლია მივიჩნიოთ, ხოლო სტივენ დედალოსი "ულისედან" პათოლოგიური, დაკარგული ახლაგაზრდა კაცის განსახიერებაა. ჯოისის "ახალგაზრდა ხელოვანის პორტრეტსაც" კირიტკოსები ერთ-ერთ ფუნდამენტალურ ნაშრომად მიიჩნევენ ბავშვებზე ნარატივის ჩამოყალიბებაში ირლანდიურ ლიტერატურაში (ლინჩი 2015: 131). ასეთი თემების წინა პლანზე წამოწევა არა უბრალოდ მწერალთა ფანტაზია, არამედ რეალური მწვავე პრობლემაა ირლანდიურ, და არამხოლოდ ირლანდიურ რეალობაში, რაც ბუნებრივია აისახება ლიტერატურულ ტენდენციებზე.

თანამედროვე ირლანდიელი მწერალი კლერ კიგანი თავისი რომანით "ასეთი წვრილმანები" აგრძელებს ჯოისის მემკვიდრეობას – კიგანის ფოკუსშიც კრიზისში მყოფი ირლანდიელები არიან. რომანის სიუჟეტური ხაზი საკმაოდ მარტივია; მოქმედება 1985 წლის ნიუ როსში ვითარდება. ქვანახშირის ქარხნის მუშა ბილ ფერლონგი დაუღალავად შრომობს რათა თავის ხუთ ქალიშვილზე იზრუნოს, ამავდროულად კი გული შესტკივა იმ გულცივობაზე და ტანჯვაზე, რომელსაც ქალაქში მუდმივად აწყდება.

> *ყველაფრის დაკარგვაზე ადვილი არაფერი იყო ამქვეყნად. ფერლონგს ეს არ ესწავლებოდა. შორს სიარული ხშირად არ უწევდა, მაგრამ ქალაქშიც და ქვეყნის გზებზეც ბევრი გაჭირვებული ენახა. შემწეობის რიგებში სულ უფრო მეტი და მეტი ადამიანი იდგა. ხალხს ბუნკერივით გაყინულ სახლებში, პალტოში გახვეულს ეძინა.*

ერთ დილას კი ფერლონგმა სკოლის მოსწავლე ბიჭუნას მოჰკრა თვალი, რომელიც მღვდლის სახლის უკან კატის ჯამიდან რძეს სვამდა (კიგანი 2023: 16)

მასზე განსაკუთრებით მოქმედებს მონაზვნების მფარველობის ქვეშ მყოფი მიტოვებული გოგონების ბედი, რომლებსაც რეალურად პატიმრებივით ექცევიან და "მაგდალენის სამრეცხაოებში" მონურ შრომას აიძულებენ. საკუთარ სინდისთან და სოციალურ წნეხთან ხანგრძლივი ჭიდილის შემდეგ ფერლონგი გადაწყვეტს ამ დაწესებულების მკვიდრ გოგონას, სარას, რომელსაც დასჯის მიზნით შობისას ფარდულში ჩაკეტილს პოულობს, თავშესაფარი მისცეს და სახლში წაიყვანოს. რომანში ძირითადი მოვლენათა განვითარება ბავშვთა ჩაგვრის, ინდივიდუალური პასუხისხმგებლობის და სახელმწიფო ინსტიტუტების მოშლის გარშემო ტრიალებს.

წიგნში გამოგონილი სიუჟეტი გადაჯაჭვულია ირლანდიის ისტორიის ლაქასთან, რომელსაც მაგდალენის სამრეცხაოები ჰქვია. ეს იყო დაწესებულება, რომელსაც მონაზვენები განაგებდნენ, იფარებდნენ ხშირად არასრულწლოვან, "ზნეობრივად დაცემულ" გოგონებს და მკაცრ პირობებში უფასო მუშახელად იყენებდნენ.

მაგ სასწავლებლის გოგოები უბრალოდ მოსწავლეები კი არა, ცუდი ყოფაქცევის გოგოები ყოფილან, რომლებსაც გამოსასწორებლად და ცოდვის გამოსასყიდად ყოველდღე, დილიდან დაღამებამდე, ბინძური თეთრეულიდან ლაქები ამოჰყავთ. ამბობდნენ, ეგ სასწავლებელი კი არა თავშესაფარია, სადაც უბრალო გაუთხოვარი გოგოები მშობიარობენ, მონაზვნები კი ბავშვების უცხოეთში გაშვილებით კარგ ფულს შოულობენო (კიგანი 2023: 37).

ავტორი წიგნის ბოლოთქმაში დაურთავს რეალურ ფაქტებს მაგდანელის სამრეცხაოებთან დაკავშირებით; მაგდანელის სამრეცხაოებიდან უკანასკნელი 1996 წელს დაიხურა. არაა ცნობილი ამ დაწესებულებებში რამდენი ქალი გამოკეტეს და ძალით ამუშავეს; სავარაუდო რაოდენობა ოცდაათი ათასია. 2021 წლის საგამოძიებო კომისიის დასკვნით ასეთი თვრამეტ დაწესებულებაში დაახლოებით ცხრა ათასი ჩვილი დაიღუპა. ამ დაწესებულებებს ირლანდიის მთავრობასთან შეთანხმებით კათოლიკური ეკლესია აფინანსებდა და მართავდა. მაგდანელის სამრეცხაოების თაობაზე ირლანდიის მთავრობის წარმომადგენლებიდან მხოლოდ პრემიერ-მინისტრმა ენდა კენიმ მოიხადა ბოდიში 2013 წელს(კიგანი 2023: 92).

როგორც ჯოისი მიიჩნევდა ეკლესიას პარალიზის ერთ-ერთ გამომწვევ ფაქტორად, ამ მოვლენების აღწერით კიგანი აჩვენებს, რომ ზოგჯერ ღვთისმსახურებს

ღვთისნიერებასთან და მოყვასის სიყვარულთან საერთო არაფერი აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ მონაზვნები მრავალ გზააბნეულ გოგოს ხედავდნენ, მათდამი თანაგრძნობა არ უჩნდებოდათ. ქალაქში არავის სურდა ეკლესიასთან დაპირისპირება, რადგან მათ ყველა საქმეში "სიტყვა ეთქმოდათ" და მოსახლეობა ზედმეტი პრობლემების გამოწვევას ერიდებოდა, რის გამოც მონაზვნები აგრძელებდნენ უპატრონო გოგონების შრომით ექსპლუატაციას(კიგანი 2023:79). მონაზვნები გოგონებს, რომლებსაც შვილებს ართმევდნენ, დასჯის მიზნით ანტისანიტარულ პირობებში საკვების გარეშე ამყოფებდნენ და თუ უცხო პირი წაასწრებდათ, ყველაფერს უარყოფდნენ და სიტუაციას გოგონას მენტალურ პრობლემებს აბრალებდნენ. მათი ქმედებები მართლაც ორგანიზებული დანაშაულის შთაბეჭდილებას ტოვებდა – მათ ჰყავდათ სახელმწიფო ძალები მფარველის სახით, თვითონ იყვნენ დანაშაულის აღმსრულებელნი, მოსახლეობა კი გაუბედაობას დაედუმებინა, რადგან პროვინციული რწმენა-წარმოდგენებისთვის რელიგიის მსახურის კრიტიკა თავად ღმერთის კრიტიკად აღიქმება, ან მრევლი ღმერთის ნაცვლად ღვთისმსახურს განადიდებს, რასაც რეალურ ღვთისმოსაობასთან საერთო არაფერი აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ ეს წიგნი ოცდამეერთე საუკუნეშია დაწერილი, გასულ საუკუნეში მოდერნისტი მწერლების მეიერ აღწერილი გაუცხოება სამყაროსგან, ფასეულობების/ტრადიციის გადააზრება და ჰუმანური ელემენტის ჩაქრობა დიდ როლს თამაშობს ტექსტში. რომანში ნათლად იკვეთება, რომ რაც არ უნდა დიდ სისასტიკეს სჩადიოდეს სახელმწიფო, ეკლესია, ან გავლენიანი ორგანიზაცია, მოსახლეობის უმეტესობა კონფორმიზმს მიეცემა და მოჩნვენებითი კომფორტის დასაცავად მოვლენებისგან განზე გადგება. მაგდალენის სამრეცხაობში განხორციელებულ ბოროტებაზე თვალის დახუჭვა ქალაქის მაცხოვრებელებს არ უჭირთ, მხოლოდ ფერლონგი ბედავს წინ აღუდგეს რელიგიურ თუ სახელმწიფო ინსტიტუების ორგანიზებულ დანაშაულს ერთი გოგონას გადასარჩენად, რომელსაც დანარჩენი საზოგადოების თვალში ძალისხმევის გაღებად არ ღირს. წიგნის პირველ აბზაცშივე წერია, რომ ფერლონგი პირველ აპრილს დაიბადა და ზოგიერთის აზრით იგი სულელი გამოვიდოდა(კიგანი 2023: 2). მართლაც, ბევრისთვის მისი ქმედება უბრალო ახირებულობაა, რადგან ისინი ვერ ხვდებიან, თუ რატომ უნდა გეცოდებოდეს სხვისი შვილი და რატომ უნდა გაირთულო ცხოვრება საზოგადოებისგან უკვე გარიყული ადამიანის გადარჩენით. ერთი ადამიანის სიცოცხლეს, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ იგი სოციალურ ნორმებს არ ემორჩილება, ფსევდოინტელექტუალური და პრიმიტიულად რელიგიური საზოგადოება არ უფრთხილდება, პირიქით ჭკუის სასწავლებელ მაგალითად იყენებს და იჩენს

სისასტიკეს, რომელიც არ შეესაბამება იმ მაღალ მორალს, რომელსაც იგი მოჩვენებითად მიელტვის.

საინტერესოა, რომ ფერლონგს გოგონას გადარჩენისთვის და მისთვის სახლის მიცემისთვის სინდისის გარდა პირადი სენტიმენტიც ამოძრავებს. ფერლონგმა, რომელიც სიღარიბისა და უმამობის გამო ხშირად იყო ჩაგვრის მსხვერპლი ბავშვობაში, კარგად იცის, თუ რა მარტოსულია ობოლი, გარიყული ბავშვი. მძიმე ბავშვობასა და მუხლჩაუხრელ შრომას მისი გული არ გაუციებია ადამიანური ტკივილისადმი და განსაკუთრებით ბავშვები ეცოდება, რადგან ხედავს, თუ რა სასტიკია სამყარო სუსტების მიმართ. როდესაც იგი წააწყდება დაუცველ ახალგაზრდა გოგოს, რომელსაც იაფ მუშახელად იყენებენ, ამაზე თავლის დახუჭვა შეუძლებელი ხდება, რადგან მისი გაწირვა ფერლონგისთვის საკუთარი შვილის გაწირვის ტოლფასი იქნებოდა. ეს მომენტი ფერლონგისთვის იყო ტესტი, თუ შეძლებდა ეერთგულა თავისი ზნეობისა და ღირებულებებისთვის; მან გაუძლო ამ გამოწვევას და არ გადგა განზე, მიუხედავად იმისა რომ ეს უკანასკნელი უფრო მარტივი გზა იქნებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ "ასეთ წვრილმანებში" მოქმედება 1985 წლის ნიუ როსში ვითარდება და არა დუბლინში, კიგანი მიყვება ჯოისის ტრადიციას, რადგან შეუძლებელიც კი იქნებოდა ირლანდიელზე წერდე და ჯოისის მემკვიდრეობას გვერდი აუარო. ირლანდიის სოციალური, პოლიტიკური, რელიგიური მდგომარეობა ჯოისისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო, რადგან ამ ფაქტორებზეა დაფუძნებული ის დილემები, რომლებსაც მის ტექსტებში ვხვდებით. "დუბლინელებში" ჯოისი გვაჩვენებს ამ ადამიანების "ყოფით ფსიქოლოგიას, თეოლოგიაზე მათ წარმოდგენას და, მათი სახით, ადამიანის შეუსაბამობას იმ ზნეობრივ სტანდარტებთან, რომელთა ერთგულებასაც ის იჩემებს. დუბლინელთა ზნეობრივი უუნარობა ეჭვს იწვევს თვით ამ სტანდარტების მართებულობაშიც(კობახიძე 2018: 90)." კიგანის დაწერილი რეალობა დროის მხრივ დაშორებულია ჯოისის დუბლინისგან, მაგრამ მისი პერსონაჟებიც ჯოისისეული პრობლემური რეალობის წინაშე დგანან. განსაკუთრებით ეს ეხება ბავშვებს. ვივიენ ლინჩი კიგანის ბავშვ პერსონაჟებს ტომ ფერინგტონის შთამომავლებს უწოდებს, რომელიც "დუბლინელების" ერთ-ერთი მოთხრობის, "ასლების" პერსონაჟია. იგი მოთხრობის ბოლოს ჩნდება, როდესაც ცხოვრებაზე გაბრაზებული მამა ფერიგტონი ჯავრს ტომზე იყრის და სასტიკად სცემს მას. მართლაც, ამ წიგნის პერსონაჟები დუბლინელების ორეულები, ნათესავები და შთამომავლები გეგონებათ. კიგანის მსგავსება ჯოისთან არამხოლოდ ტექსტის შინაარსობრივ პლანზე, არამედ წერის

სტილშიც ვლინდება, იქნება ეს ბუდნოვანების შემოტანა, თუ ეპიფანიის მომენტები, რომლებიც მკითხველსა და პერსონაჟებს ერთნაირად ეუფლებათ(ლინჩი 2015: 132-39).

ლიტერატურის კრიტიკოსი ენ ენრაითი ერთგან აღნიშნავს, რომ ირლანდიას თუ უყვარხარ, მაშინ რაღაცას არასწორად აკეთებ("But it is perhaps still true that if Ireland loves you, then you must be doing something wrong(Enright 2010: 133)"). ავტორები ხშირად წერენ მშობლიური ქვეყნის უარყოფით მხარეებზე; როგორც ჯოისის, ისე კიგანის ტექსტები შეიძლება აღქმული იქნეს ირლანდიის კრიტიკად, მხილებად. "ახალგაზრდა ხელოვანის პორტრეტში" სტივენ დედალოსი ღიად გამოხატავს ამას და ემიჯნება სამშობლოსა თუ ეკლესიის ცნებებს, რადგან მათი ღირსების აღარ სწამს:

> I will tell you what I will do and what I will not do. I will not serve that in which I no longer believe, whether it calls itself my home, my fatherland, or my church: and I will try to express myself in some mode of life or art as freely as I can and as wholly as I can, using for my defense the only arms I allow myself to use – silence, exile, and cunning(Joyce 2000: 208). [1]

იგივე კრიტიკული ტენდენცია შეინიშნება "ასეთ წვრილმანებში": კიგანი წიგნს წინასიტყვაობად დაურთავს ამონარიდს 1916 წლის "ირლანდიის რესპუბლიკის გამოცხადებიდან"[2], რომელშიც ნათქვამია, რომ სახელმწიფო ვალდებულია მოქალაქეების კეთილდღეობასა და ბედნიერებისთვის იღვწოდეს, შემდეგ კი წერს რომანს რომელშიც სახელმწიფო ინსტიტუტები ჩაგრავენ ადამიანებს და ამ კონტრასტით აჩვენებს წამძღვარებული სიტყვების აბსურდულობას. ამასთანავე, 1937 წლის ირლანდიის კონსტუტუცია ოჯახს სოციუმის უმნიშვნელოვანეს ცენტრალურ ერთეულად მიიჩნევს და მაინც, ოჯახებში სიტუაცია დალაგებულისგან ძალიან შორსაა. ოჯახური ცხოვრების გაიდეალურებული წარმოდგენა ყველაზე მეტად ლიტერატურაში სწორედ ბავშვებზე ძალადობის წინა პლანზე გამოტანამ დაანგრია(ლინჩი 2015: 131). კიგანი თავის ტექსტებში ბავშვზე ძალადობის ტაბუს

---

[1] მე გეტყვი რას გავაკეთებ და რას არ გავაკეთებ. მე არ ვემსახურები იმას, რაც აღარ მწამს, რაც არ უნდა ერქვას მას - ჩემი სახლი, სამშობლო თუ ეკლესია. მე ვეცდები გამოვხატო ჩემი თავი ცხოვრების თუ ხელოვნების ამა თუ იმ ფორმაში ისე თავისუფლად და სრულად, როგორც შემიძლია და თავი მხოლოდ იმ იარაღითდავიცვა, რომლის გამოყენების უფლებას ჩემს თავს მივცემ: სიჩუმით, დევნილობაში ყოფნითდა ეშმაკობით., 285, გია ბერაძის თარგმანი.

[2] [..] რესპუბლიკა [..] აცხადებს, რომ განუხრელად იღვაწებს მთლიანად ერისა და მისი ყოველი წარმომადგენლის ბედნიერებისა და კეთილდღეობისთვის და თანაბრად იზრუნებს ქვეყნის თითოეულ შვილზე." *ირლანდიის რესპუბლიკის გამოცხადება, 1916.*

თამამდ ეხება. მისი თქმით, ყველა ოჯახი საუკეთესო ადგილი არაა ბავშვისთვის, მეტიც, ზოგჯერ ოჯახი ხდება ფსიქოლოგიური ზიანის პირველწყარო ადამიანისთვის:

> It's an examination of home and an examination of neglect; I don't trust that home is necessarily where one finds one happiness. Families can be awful places, just as they can be glorious and loving (კიგანი 2010.)"

კიგანი გვიჩვენებს, რომ ღრმადრელიგიურ საზოგადოებაში, რომელშიც კრიტიკული სეკითხვის დასმას ეკლესიისთვის ვერავინ ბედავს, ბავშვის სპეტაკი სახე-ხატი იკვეთება. ბავშვის ეს გაიდეალებული წარმოდგენა მთლიანად ზრდასრულების ფარისევლობის, ამრიდებლობისა და მათი განცდების პროექციის შედეგია(ფოგარტი 2015: 16), რამეთუ არახალია ის ფაქტი, რომ ბავშვი არც ოჯახში, არც რელიგიურ თუ სააღმრზდელო დაწესებულებებში დაცული და ხელშეუხებელი არაა, იქნება ეს ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობა.

ფსევდორელიგიურობის დამაზიანებელი შედეგების გარდა წიგნში ბევრგან შევხვდებით სოციო-ეკონომიკური სირთულეების მგალითებს. როგორც ჯოისთან, კიგანთანაც სიღარიბე ბორკილებივით მოქმედებს, აჯაჭვებს რა ადამიანების ფიქრებს ყოველდღიურ საზრუნავზე და მათ რეალური დამნაშავის დანახვის უფლებას არ აძლევს. გაუნათლებლობა და სიღარიბე ავტორიტეტების სასარგებლოდ მუშაობენ(ფუკო 2012: 90), ეს ორი მათი კონტროლის იარაღია. ბილ ფერლონგის მაგალითით ვხედვათ, მკაცრი გარემო–პირობები ადამიანს ინდივიდუალური პასუხისმგებლობისგან არ ათავისუფლებს, რადგან ჟან პოლ სარტრის თქმით ადამიანი სწორედ ისაა, რასაც თვითონ შექმნის და გამოძერწავს საკუთარი თავისგან(კაუფმანი, 1989: 291). ცხოვრება არის მუდმივი ქმნადობა და მუდმივი მტკიცება იმისა, თუ ვინ ხარ, რას აფასებ და რისი გწამს. უმოქმედობისგან განთავისუფლება ინდივიდისგან პასუხისმგებლობას და ძალისხმევას მოითხოვს; უსაფრთხო კონფორმიზმს ბევრი აფარებს თავს, მაგრამ ამის საფასური საკუთარი ავთენტურობის დაკარგვაა, რაც პიროვნებისთვის ძვირად უნდა ფასობდეს. მიუხედავად მრავალი დასახელებული პარალელისა "დუბლინელებთან", ბილ ფერლონგი ის პერსონაჟია, რომელიც ფიზიკურ და სულიერ პარალიზს არღვევს. როცა ხედავს, თუ როგორ უგულვებელყოფენ სარას კეთილდღეობას მონაზვნები, სევდა და პროტესტი ერთდროულად ეუფლება, რაც შემდეგმ მას მოქმედებისკენ უბიძგებს. მანამდე იგი მეზობელ ბიჭს ეხმარება, რათა შობას შიმშილით არ შეხვდეს და თანდათან იწრთობა იმ ფიგურად, რომელსაც სუსტების დასახმარებლად საზოგადოების წინააღმდეგ

წასვლა შეუძლია ინდივიდუალური მორალური კომპასის შესაბამისად. ფერლონგი გამოდის პარალიზიდან და ქმედებით არღვევს იმ მძიმე თალხს, რომელსაც მისი გარემოცვა მოუცავს. ეს განასხვავებს მას "დუბლინელების" ბოლო მოთხრობის, "მკვდრების" საზოგადოებისგან. ამ წიგნშიც "მკვდრების" მსგავსად მოვლენები შობის დროს ვითარდება, თუმცა ამ შემთხვევაში ეპიფანია დადებით მოვლენად გარდაიქმნება და არ რჩება საკუთარი უსუსრობის, პარალიზის მენტალურ გაანალიზებად.

ბილ ფერლონგია მაგალითია ადამიანისა, რომელიც ირჩევს უერთგულოს საკუთარ ღირებულებებს, მორალს და შინაგან ეთიკას. ადამიანს, როგორც მიკრო ნაწილს, რაც არ უნდა პატარა და უმნიშვნელო ჩანდეს მაკრო სოციუმისა, ერთი გადაწყვეტილებითაც შეუძლია საკუთარი ცხოვრების ტრაექტორიის შეცვლა. მუდმივი შინაგანი ძლისხმევით შესაძლებელია თავის დაცვა იმ ზნეობრივი თუ ემოციური კრიზისისგან, რომელიც გასული საუკუნიდან მოყოლებული სულ უფრო ძლიერდება საზოგადოებაში. "ზნეობრივ ფასეულობათა კრიზისს ყოვლისმომცველი ხასიათი აქვს – ის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს და წევრთა ყოფით, სულიერ, ეკონომიკურ და ინტელექტუალურ დეგრადაციაში გამოიხატება(კობახიძე 2018: 109)." ფერლონგის მაგალითით ვხედავთ, რომ გულგრილ სოციუმში მაღალი ზნეობრივი სტანდარტების შენარჩუნება არა მხოლოდ შესაძლებელია, არამედ აუცილბელეიც კია კოლექტიური სინდისის, ღირებულებების შესანარჩუნებლად, რაც განსაზღვრავს ამავე სოციუმის წევრების, და განსაკუთრებით ბავშვებისნაირი მოწყვლადი წევრების ცხოვრების ხარისხს. ეს საკითხი მასშტაბურობით სცდება ჯოისის დუბლინს და კიგანის ნიუ-როსს, ესაა ნებისმიერი ქვეყნის შვილის პრობლემა საერთო საზოგადოებრივ ლანდშაფტზე.

ბიბლიოგრაფია:

კიგანი, კ., (2023). ასეთი წვრილმანები. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

კობახიძე, თ., 2018. "პაროდიული ასოცირება ჯეიმზ ჯოისის მოთხრობაში "მადლი". *სჯანი 19: ყოველწლიური სამეცნიერო ჟურნალი ლიტერატურის თეორიასა და შედარებით ლიტერატურათმცოდნეობაში.* 86-112

ჯოისი. ჯ., 2016. ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობისას. გამომცემლობა არტანუჯი: თბილისი.
Enright, A,. (2010). Punch and Poetry: The Irish Short Story in the Twenty-first Century. The Princeton University Library Chronicle, 72(1), 129–136. https://doi.org/10.25290/prinunivlibrchro.72.1.0129

Fogarty, A. (2015). “It Was Like A Baby Crying”: Representations of the Child in Contemporary Irish Fiction. Journal of Irish Studies, 30, 13–26. http://www.jstor.org/stable/43737506

Foucault, Michel., (2012). Discipline and Punish - the Birth of the Prison. New-York: KnopfDoubleday Publishing Group;

Kaufman, Walter. (ed.). Existentialism from Dostoyevsky to Sartre. New-York: Meridian Books Inc.

Lynch, V. V. (2015). “Families Can Be Awful Places”: The Toxic Parents of Claire Keegan’s Fiction. New Hibernia Review / Iris Éireannach Nua, 19(1), 131–146. http://www.jstor.org/stable/24624323

O’Hagan, S. (2010). “Claire Keegan: Short Stories Are Limited. I'm Cornered Into Writing What I Can.” Guardian. https://www.theguardian.com/books/2010/sep/05/claire-keegan-short-story-interview